განმცხადებელი: თემური ლაჭყეპიანი

თარიღი: 14-11-2023

მივიჩნევ, რომ ჟურნალისტმა/რედაქტორმა დაარღვია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპ(ებ)ი: პრინციპი 1; პრინციპი 5

ინფორმაცია ჟურნალისტის/რედაქტორის შესახებ, რომელმაც სავარაუდოდ დაარღვია ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრინციპები: მაკა ბრეგაძე, ტელეკომპანია "ქართული ტვ"

სადავო მასალა: ,,სტუმრად მაკა ბრეგაძესთან" მაკა ბრეგაძის საავტორო გადაცემა სტუმარი თამაზ ელიზბარაშვილი, 15.10.2023, ტელეკომპანია "ქართული ტვ", ბმული: https://fb.watch/ojvxOYffcF/?mibextid=Nif5oz

სადავო მონაკვეთი არის 16:00 -დან 43:00 წთ-მდე.

ჟურნალისტის//რედაქტორის მიერ ქარტიის პრინციპების დარღვევის დასაბუთება: ჟურნალისტმა მაკა ბრეგაძემ თავის საავტორო გადაცემაში მიიწვია თამაზ ელიზბარაშვილი რომელმაც ჩემს მიმართ გააჟღერა არაერთი ცრუ ბრალდება, ცილისწამება, რეპტაციის შემლახველი ფრაზები რომლებიც ჩემთვის როგორც ცხოველთა უფლებების დამცველისთვის არის რეპუტაციის შემლახველი და მადისკრედიტირებელი, ვერ იქნა მის მიერ მოყვანილი ვერანაირი ფაქტი და არგუმენტი ჩემს წინააღმდეგ, ჟურნალისტი მაკა ბრეგაძე მას ეთანხმებოდა, მაგალითად როდესაც თამაზ ელიზბარაშვილმა გააჟღერა რომ მე გადამიხადა თითქოს ფული წყალტუბოს მერმა ამაზე თავი დაუკრა ჟურნალისტმა და უთხრა რომ ფულის გათეთრების კარგი გზა არისო, ასევე მის ნებისმიერ ცილისმწამებლურ ფრაზას უაპეაციოდ ეთანხმებოდა, აშკარაა რომ ადგილი ჰქონდა ერთმნიშვნელოვნად მიკერძოებას არანაირი ძალისხმევა არ გაიღო ჟურნალისტმა ჩემი მხრიდან ინფორმაციის მისაღებად, ასევე თავად ჟურნალისტმაც განაცხადა რომ როდესაც წინა დღეებში თამაზ ელიზბარაშვილმა თავის გვერდზე საჯაროდ ვიდეო ლაივების მეშვეობით დისტანციური გზით განახორციელა ჩემს მიმართ შეურაცხმყოფელი ლექსიკა და ბრალდებები ამაზე თქვა ჟურნალისტმა რომ თითქოს პასუხი მე გავეცი, სინამდვილეში ჩემს პირად ფეისბუქზე გვერდზე "temur lachkepiani" ასევე ჩემი დაფუძნებული ორგანიზაციის ფეისბუქ გვერდზე "საქართველოს ცხოველთა დაცვის ფედერაცია" მე გავეცი პასუხი თამაზ ელიზბარაშვილს ცრუ და პოპულისტურ მარაზმს, ეს ინფორმაციაც არ ჰქონდა გაცნობილი ჟურნალისტს, ასევე როდესაც თამაზ ელიზბარაშვილი აცხადება რომ თითქოს მე მეკუთვნის თავშესაფარი ოზურგეთში თითოქსდა მე მეკუთვნის სხვადასხვა კომპანიები 4-5 კომპანია თითქოს მე მეკთვნის ესეც არ შეესაბამება რეალობას და ჟურნალისტს შეეძლო გადაემოწმებინა ეს ინფორმაციები საჯარო წყაროებიდან (სამეწარმეო რეესტრისს ვებ-გვერდით, უძრავი ქონების რეესტრის ვებ-გვერდით, ასევე შეეძლო ეკითხა ჩემთვის), ჟურნალისტმა არ გადაამოწმა ასევე მივმართე ჟურნალისტს და მან არ გამოსწორა თავისი შეცდომები, ამიტომაც ვთვლი რომ ერთმნიშვნელოვნად დაარღვია ჟურნალისტმა მაკა ბრეგაძემ ჟურნალისტური ეთიკის ქართიის პირველი და მეხუთე პრინციპები.

განცხადება და თანდართული მასალები, დასაშვებობის შემთხვევაში, ხდება საჯარო და ნებისმიერ პირს ექნება საშუალება გაეცნოს მას: ვეთანხმები